

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია

ოქმი № 03

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1

06 მარტი 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კონსტანტინე კუჭუხიძე - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
2. რევაზ ჩაჩავა - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
3. ლეონტი ნადარეიშვილი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
4. გიორგი კაჭარავა - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
5. ირაკლი ჭანტურია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
6. ბაჩუკი ქვილითაია- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

არ ესწრებოდნენ:

1. დავით კაჭარავა- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
2. ზურაბ ლომია- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

3.კობტა მელია- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე კუჭუხიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1. *აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.*

კ. კუჭუხიძე

დღის წესრიგის პირველი საკითხი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

მომხსენებელი:

კონსტანტინე კუჭუხიძე

(აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.) :

მომხს. კ. კუჭუხიძემ წარმოადგინა 2017 წლის განმავლობაში ჩატარებული სოციალური პროგრამების ანგარიში. დახმარება მიიღო სხვადასხვა კატეგორიის 2171-მა ბენეფიციარმა. უარი ეთქვა 14 ბენეფიციარს. აღნიშნულ ბენეფიციარებზე გაგზავნილია წერილობითი პასუხები შესაბამისი არგუმენტებით, თუ რატომ ვერ გაეწია დახმარება.

14 მუნიციპალური სოციალური პროგრამით 2017 წელს გამოყოფილი თანხები შესაბამისი ოდენობით მიიღეს:

1. ომის მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა 9 ოჯახზე- 2.250 ლარი
2. გარდაცვლილ დევნილთა 20 ოჯახზე- 4.000 ლარი
3. ომის მონაწილე 198 ვეტერანზე- 30.300 ლარი (მათ შორის 4 II მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანი)
4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების 38 ოჯახზე- 7.800 ლარი (ბენეფიციარი 39)
5. მე-3 და მეტი ახალშობილი მრავალშვილიან 39 ოჯახზე (40 ბავშვი- 12.000 ლარი)
6. დედ-მამით ობოლ ბავშვების 2 ოჯახზე (2 ბავშვი)- 600 ლარი
7. მარჩენალდაკარგულ ბავშვთა 73 ოჯახზე (123 ბავშვი)- 18.450 ლარი
8. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დახმარების პროგრამით სულ დახმარება მიიღო 551-მა ბენეფიციარმა თანხით- 340.292.19. მათ შორის 513

ბენეფიციარზე გადარიცხულია 320.483 ლარი. შესრულებულ სამედიცინო მომსახურების შემდგომ 2018 წელს დაფინანსდება 38 ბენეფიციარი თანხით- 19.809 ლარი.

9. ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უხუცესზე- 0
10. სტიქიით მიყენებულ ზარალზე (ხანძარი და ქარი) 5 ოჯახზე- 12.500 ლარი
11. მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ასაკამდე) 296 ოჯახზე (1004 ბავშვი)-100.400 ლარი.
მათ შორის: 3 შვილიანი ოჯახია 251, ბავშვი-753. 4 შვილიანი ოჯახი-45, ბავშვი-180. 5 შვილიანი ოჯახი-8, ბავშვი-40. 6 შვილიანი ოჯახი-4 ბავშვი-24. 7 შვილიანი ოჯახი-1, ბავშვი 7.
12. ყრუ-მუნჯების და „ჩერნობილელთა“ 16 ბენეფიციარზე- 3.200 ლარი
13. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (I ჯგუფი) პირების დახმარების პროგრამით- 153 ბენეფიციარზე- 30.600 ლარი
14. დიალეზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამით (ყოველთვიური დახმარებით) 9+2 ბენეფიციარზე- 14.700 ლარი.
დამტკიცებული წესის შესაბამისად სამსახური უზრუნველყოფს მოსახლეობის მუნიციპალური სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზებას და ინფორმირებას.

აზრი გამოთქვეს: ლეონტი ნადარეიშვილმა, ბაჩუკი ქვილითაიამ, რევაზ ჩაჩავამ, ირაკლი ჭანტურიამ.

დაადგინეს : წარმოდგენილი ანგარიში შეფასდეს დადებითად და საკრებულოს ბიუროს ეთხოვოს აღნიშნული საკითხი შეიტანოს საკრებულოსა და ბიუროს უახლესი სხდომის დღის წესრიგში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 03/348 წერილის საფუძველზე, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების „კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული განკარგულების პროექტი, ჩათვალა რომ წარმოდგენილი

განკარგულების პროექტი დამაკმაყოფილებელია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების „კულტურისა და სოციალურ საკითხთა“ კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 6 დეპუტატი;

წინააღმდეგი - არც ერთი დეპუტატი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების „კულტურისა და სოციალურ საკითხთა“ კომისიის თავმჯდომარე:

/კ. კუჭუხიძე/

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის

დასკვნა #03

*აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.*

მიზანშეწონილობის შესახებ არსებულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

ქ. აბაშა უჩა კაჭარავას # 1

06 მარტი 2018 წ

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ
საკითხთა კომისიამ:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24 მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი
სრულად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის
წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ
საკითხთა კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების,
კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს კონსტანტინე
კუჭუხიძეს აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ მამუკა კვიციანი და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს აღნიშნული პროექტის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გასატანად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე:

/კ.კუჭუხიძე/